განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

„სატყეო საქმე“

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

11.09.2018

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2018

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 211349192 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | სატყეო საქმე |
| განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | სატყეო საქმის ბაკალავრი<br>0105 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | აკრედიტირებული |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | გიორგი ჯაფოშვილი, აგრარული უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ქეთევან კინწურაშვილი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნატალია ჯინჭარაძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | გიორგი ხებეიშვილი, ეროვნული სატყეო სააგენტო, ტყითსარგებლობისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის უფროსი |
| | |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საბაკალავრო პროგრამა ,,სატყეო საქმე“ შემუშავებულია აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე, სატყეო დარგში აღიარებული თეორიული და პრაქტიკული გამოცდილებების საფუძველზე დაყრდნობით, ასევე ადგილობრივი, უცხოური საგანმანათლებლო პროგრამების ანალოგების შესწავლით, ანალიზითა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით.

პროგრამის მიზანია მოამზადოს სატყეო საქმის დარგის კურსდამთავრებული, რომელსაც ტყის ეკოსისტემების მოვლისა და კვლავწარმოების, ძირითადი ტყისშემქმნელი სახეობების კორომებში ბუნებრივი განახლების, სახეობათა ცვლისა და სხვა მნიშვნელოვანი სასიცოცხლო პროცესების მართვის გააზრების, მათ წარმართვაში მონაწილეობით მიღებული გამოცდილების საფუძველზე ექნება ტყეების ბიომრავალფეროვნების დაცვისა და ოპტიმიზაციის სფეროში მოღვაწეობის და კარიერის განვითარების შესაძლებლობა. შეასწავლოს, როგორც ბუნებრივ, ისე კულტურცენოზებში ეფექტური სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების განხორციელებისა და ტყეების ნიადაგდაცვითი, კლიმატმარეგულირებელი, წყალშენახვითი, კურორტოლოგიურ-ბალნეოლოგიური და სხვა სასარგებლო ფუნქციების შენარჩუნებისა და გაუმჯობესების უზრუნველყოფისათვის საჭირო პრაქტიკული გამოცდილება.

პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით, 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. კრედიტების განაწილება წარმოდგენილია პროგრამის სასწავლო გეგმაში.

პროგრამა გრძელდება 4 წელი (8 სემესტრი). ბაკალავრის კვალიფიკაცია მიენიჭება ძირითადი სპეციალობისა (არანაკლებ 210 კრედიტის) და თავისუფალი კომპონენტების (არანაკლებ 30 კრედიტის) კომბინირებით, ჯამში არანაკლებ 240 კრედიტის შესრულების შემთხვევაში.

საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სპეციალობა (210 კრედიტი) მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

ა) უცხო ენა- 10 კრედიტი. სწავლის დასაწყისში სტუდენტს აქვს უფლება ოთხი უცხო ენიდან (ინგლისური, რუსული, გერმანიული, ფრანგული) აირჩიოს ერთ-ერთი მათგანი და პირველი ორი სემესტრის განმავლობაში გაიაროს 5-5 კრედიტის მოცულობით;

ბ) არჩევითი ჰუმანიტარული სასწავლო კურსი - 3 კრედიტი (ფილოსოფიის შესავალი, საქართველოს ისტორია, სოციოლოგია, პოლიტოლოგია, გამოყენებითი ფსიქოლოგია, აკადემიური წერა, კულტურა და თანამედროვეობა);

გ) სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებს - 168 კრედიტი;

დ) სპეციალობის სავალდებულო არჩევით სასწავლო კურსები - სტუდენტი მათგან ირჩევს საგანთა

პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება სატყეო საქმის ბაკალავრი, პროგრამაში არსებული 210 კრედიტისა და თავისუფალი კომპონენტების კომბინირებით არანაკლებ 240 კრედიტის შესრულების შემთხვევაში.

პროგრამა უზრუნველყოფილია მატერიალურ-ტექნიკური ბაზით (აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი, ბიბლიოთეკა, ელექტრონული რესურსები, სააუდიტორიო სივრცე და კომპიუტერული რესურსი და კვლევითი კომპონენტის განხორციელების მიზნით გაფორმებული მემორანდუმი და ხელშეკრულებები). პროგრამაში ჩართულია კვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი. პროგრამა ფინანსდება სსიპ - საქართველის ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში უნივერსიტეტი) ბიუჯეტით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 11 სექტემბერს (ცენტრის დირექტორის ბრძანება 04.09.2018, №812). სატყეო საქმის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, უნივერსიტეტში აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში დაიგეგმა შეხვედრები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, ფაკულტეტის დეკანთან და პროგრამასთან ბმაში მყოფ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამაში მონაწილე აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ სპეციელისტებთან, რომლებიც ჩართული იყვნენ პროგრამის შექმნაში და მომავალში უზრუნველყოფენ მის განხორციელებას, ასევე მოქმედ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან. ექსპერთა ჯგუფის მიერ მოხდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება. ვიზიტის ბოლოს, ექსპერთა ჯგუფმა დაწესებულების წარმომადგენლებს პროგრამის განვითარებისთვის შესთავაზა რამდენიმე რჩევა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

თვითშეფასების ანგარიშისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის და სააკრედიტაციო ვიზიტის განხორციელების შედეგად დადგინდა სატყეო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა.
პროგრამა აკმაყოფილებს:
პირველი სტანდარტის მოთხოვნებს.
მეორე სტანდარტის მოთხოვნებს და გვაქვს რამოდენიმე რჩევა.
მე-3 სტანდარტის მოთხოვნებს.
მე-4 სტანდარტის მოთხოვნებს, თუმცა არის რჩევა და რეკომენდაცია.
და მე-5 სტანდარტის მოთხოვნებს.
პროგრამა შესაბამისობაშია აკრედიტაციის ხუთივე სტანდარტის მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

ცენტრალური ბიბლიოთეკა ფაკულტეტიდან საკმაოდ შორსაა, სასურველია ლიტერატურა, რომელიც მხოლოდ ფაკულტეტის სტუდენტების სწავლებისთვისაა საჭირო სრულად მოთავსდეს მათ ადგილობრივ ბიბლიოთეკაში.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არჩევით საგნებში არის სოციოლოგია, პოლიტოლოგია. უმჯობესია ყოფილიყო გეოგრაფია ან მსოფლიო ისტორია. ჰუმანიტარულ არჩევითში ალბათ არ უნდა იყოს „გეოგრაფიულ-ინფორმაციული სისტემები სატყეო მეურნეობაში“, ეს ტექნიკური საგანია.
სასურველია ეკოლოგიის საფუძვლებს წინაპირობა არ გააჩნდეს, მითუმეტეს „სატყეო მეტეოროლოგია და კლიმატოლოგია“.
სასურველია ალბათ ჩასწორდეს ტექნიკური ხარვეზი სწავლის შედეგების რუკაზე, სადაც ზოგიერთ საგნის სილაბუსის შესაბამისად მონიშნული არაა ზოგიერთი კომპეტენცია, რომელსაც ამათუ იმ საგნის გავლისას მიიღებს სტუდენტი: მაგ. ბოტანიკა, ზოგადი ფიზიკა, მელიორაციულ ნიადაგმცოდნეობას და სხვ.
საგნის გრაფაში „არჩევითი ჰუმანიტარილი სასწავლო კურსები“-ის ნაცვლად უნდა იყოს „არჩევითი საგანი ჰუმანიტარული დარგიდან“. ვინაიდან სტუდენტი, როგორც ჩანს ერთერთ ჰუმანიტარულ კურსს ირჩევს.

სასწავლო კურსების უმეტეს სილაბუსში, მიუხედავად იმისა, რომ გაწერილია შეფასების სისტემა, შეფასების კრიტერიუმი ზოგგან გამსხვილებულია და არ არის ჩაშლილი.

პროგრამაში ჩართული პერსონალი უნდა გააქტიურდეს კვლევით ნაწილში და გამოქვეყნებისას ყურადღება უნდა მიექცეს მაღალრეიტინგულ ჟურნალებში პუბლიკაციას. ასევე უნდა გააქტიურდეს დარგების მიხედვით პროგრამაში ჩართული პროფესურის საერთაშორისო კავშირები და პრობლემატიკაზე თანამშრომლობა.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

არ არის

- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

არ არის

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br><br>პროგრამის მიზანია მომზადდეს სპეციალისტი, რომელსაც ტყის ეკოსისტემების მოვლისა და კვლავწარმოების, ძირითადი ტყის შემქმნელი სახეობების კორომებში ბუნებრივი განახლების, სახეობათა ცვლისა და სხვა მნიშვნელოვანი სასიცოცხლო პროცესების მართვის გააზრების, მათ წარმართვაში მონაწილეობით მიღებული გამოცდილების საფუძველზე ექნება ტყეების ბიომრავალფეროვნების დაცვისა და ოპტიმიზაციის სფეროში მოღვაწეობის და კარიერის განვითარების შესაძლებლობა. შეასწავლოს, როგორც ბუნებრივ, ისე კულტურცენოზებში ეფექტური სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების განხორციელებისა და ტყეების ნიადაგდაცვითი, კლიმატმარეგულირებელი, წყალშენახვითი, კურორტოლოგიურ-ბალნეოლოგიური და სხვა სასარგებლო ფუნქციების შენარჩუნებისა და გაუმჯობესების უზრუნველყოფისათვის საჭირო პრაქტიკული გამოცდილება.<br><br>საკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შესაბამისობაშია აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დებულებაში აღწერილ სტატუსთან, მიზნებთან, ამოცანებთან და საქმიანობის ძირითად მიმართულებებთან. ფაკულტეტს შემუშავებული აქვს სამოქმედო გეგმა, რომლის ფარგლებში იგეგმება სატყეო სფეროში დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მჭიდრო თანამშრომლობა პროგრამის დასაქმების ბაზრის მოთხოვნებში ცვლილებების კვალდაკვალ განვითარება, რაც მიმართული იქნება სტუდენტების სამოქალაქო ღირებულებების ჩამოყალიბებისკენ, პიროვნული და დასაქმებულობის მაჩვენებლების ზრდისკენ.<br>პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული და ნათლად არის ჩამოყალიბებული. ისინი შეესაბამება დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს და მიღწევადია. პროგრამის შეთავაზების მიზეზია სატყეო სფეროს განვითარების თანამედროვე გამოწვევები, რათა დაკმაყოფილებული იქნას კვალიფიციურ კადრებით მათი უზრუნველყოფის პროცესში მონაწილეობა. პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართულები იყვნენ დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები, მათთან შეთანხმებული იქნა კურსდამთავრებულთა საქმიანობის საზღვრები და ჩამოყალიბებული იქნა შესაბამისი მისაღწევი სწავლის შედეგები. |

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანება ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე;
- „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების და მტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 22 დეკემბრის №199/ნბრძანება;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისიაhttp://gtu.ge/AboutStu/Mission.php ;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა;
- აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დებულება;
- აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმა.
- დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები;
- პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებული შეხვედრების ოქმები;
- საგანმანათლებლო პროგრამა „სატყეო საქმე'';

**რეკომენდაციები:**

- არ არის

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არ არის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- არ არის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- არ არის

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობასია პროგრამის მიზანთან, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს აღმწერთან და უზრუნველყოფს ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი შეიძენს პროგრამის დასრულებისას. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ექნება აგრარული მეცნიერების თანამედროვე მიღწევებისა და მოწინავე ტექნოლოგიების ცოდნა.

სტუდენტს იძენს ცოდნას საქართველოს ტყეებისა და მათი ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და ოპტიმიზაციის შესახებ; აცნობიერებს სახელმწიფო და დაცული ტერიტორიების ტყის ფონდის მიწებსა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე ეროზირებული ფართობების მონიტორინგისა და საპრევენციო სატყეო-სამელიორაციო ღონისძიებების განხორციელების სპეციფიკა. შეუძლია ტყეების სწორი აღრიცხვა-ინვენტარიზაციისა და ზოგადად ტყეთმოწყობის სამუშაოების წარმოებისას მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე, სარევიზიო პერიოდში სწორი ტყითსარგებლობის პრობლემის გადაჭრის ორგანიზაციის უზრუნველყოფა. ტყეკაფვითი სამუშაოებისა და პიროლოგიური ღონისძიებების დასახვაში მონაწილეობის მიღება. შეუძლია სატყეო საქმის პრინციპების, ფასეულობებისა და არსებული ღირებულებების გააზრება. სატყეო საქმეში ახალი ღირებულებების ფორმირების პროცესში, მათ რეალიზაციასა და დამკვიდრებაში მონაწილების მიღება.

უნივერსიტეტის ადმინისტრაცია დამსაქმებელთან ერთად მხარდაჭერას უცხადებს პროგრამას და მზადაა შექმნას ყველა პირობა იმისთვის, რომ საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები იყოს მიღწეული და პროგრამის კურსდამთავრებული იყოს კონკურენტუნარიანი დასაქმების ბაზარზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „სატყეო საქმე“;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანება „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“.
- სტუ-ს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა https://leqtori.gtu.ge/2017_2018/I/B/info;
- სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 დეკემბრის №2691 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია“;
- დამსაქმებლების და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებული შეხვედრების ოქმები;
- შრომის ბაზრის მოთხოვნების არსებული კვლევების ანალიზი.

| |
|---|
| **რეკომენდაციები:**<br><br>არ არის |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არ არის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ არ არის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ არ არის<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | X | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br><br>ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელ ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა. პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია, როგორც სტუდენტებისათვის, ასევე სხვა დაინტერესებულ პირთათვის, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით, უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ღია კარის დღეების საშუალებით, საგანმანათლებლო პროგრამების პრეზენტაციებით საჯარო და კერძო სკოლებში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამა „სატყეო საქმე";<br>○ „საჯაროსამართლისიურიდიულიპირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 22 დეკემბრის №199 /ნბრძანება;<br>○ სტუ-საკადემიური საბჭოს 2017 წლის27 დეკემბრის №2691 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია";<br>○ სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 17 ივნისის №482 დადგენილება „სტუ–ს სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქცია";<br>○ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ გვერდი http://gtu.ge/;<br>○ სტუ-საკადემიურისაბჭოს 2010 წლის 22 იანვრის №198 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია";<br>○ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 17 ივნისის № 482 დადგენილება „სტუ–ში სტუდენტთაკონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" . |
| **რეკომენდაციები:**<br><br>არ არის |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არ არის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |

| |
|---|
| ○ არ არის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ არ არის<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი |
|---|
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br><br>საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები ქრონოლოგიურად ვითარდება. დისციპლინების შესწავლა მიმდინარეობს ლოგიკური თანმიმდევრობით და ატარებს კომპლექსურ ხასიათს. ზოგიერთ შემთხვევაში კონკრეტული საგანი მომდევნო საგნის შესწავლის წინაპირობას წარმოადგენს.<br>შინაარსი და ლოგიკური თანმიმდევრობა უზრუნველყოს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღწერის სათანადო დონით.<br>პროგრამა გრძელდება 4 წელი (8 სემესტრი). ბაკალავრის კვალიფიკაცია მიენიჭება ძირითადის პეციალობისა (არანაკლებ 210 კრედიტის) და თავისუფალი კომპონენტების (არანაკლებ 30 კრედიტის) კომბინირებით, ჯამში არანაკლებ 240 კრედიტის შესრულების შემთხვევაში.<br>საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სპეციალობა (210 კრედიტი) მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:<br>ა) უცხოური ენა- 10 კრედიტი. სწავლის დასაწყისში სტუდენტს აქვს უფლება ოთხი უცხოური ენიდან (ინგლისური, რუსული, გერმანიული, ფრანგული) აირჩიოს ერთ-ერთი მათგანი და |

პირველი ორი სემესტრის განმავლობაში გაიაროს 5-5 კრედიტის მოცულობით;
ბ) არჩევითი ჰუმანიტარული სასწავლო კურსი - 3 კრედიტი (ფილოსოფიის შესავალი, საქართველოს ისტორია და კულტურა, სოციოლოგია, პოლიტოლოგია, გამოყენებითი ფსიქოლოგია, აკადემიური წერა,კულტურა და თანამედროვეობა);
გ) სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებს - 168 კრედიტი;
დ) სპეციალობის სავალდებულო არჩევით სასწავლო კურსები- სტუდენტი მათგან ირჩევს საგანთა გარკვეულ რაოდენობას, რომელთა საერთო მოცულობა შეადგენს არანაკლებ 30 კრედიტს.
ძირითადი სპეციალობის ათვისების შემდეგ, სტუდენტი თავისუფალი კომპონენტებიდან (თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსებიდან) ირჩევს საგანთა გარკვეულ რაოდენობას, რომელთა საერთო მოცულობა შეადგენს არანაკლებ 30 კრედიტს.
პირველ სემესტრში- გათვალისწინებულია სპეციალობის სავალდებულო ხუთი სასწავლო კურსი, უცხოური ენა - 5 კრედიტი. ჯამში 27 კრედიტი.
მეორე სემესტრში - გათვალისწინებულია სპეციალობის სავალდებულო ექვსი სასწავლო კურსი, უცხოური ენა - 5 კრედიტი, არჩევითი ჰუმანიტარული სასწავლო კურსი - 3 კრედიტი. ჯამში 34 კრედიტი.
მესამე სემესტრში - გათვალისწინებულია სპეციალობის სავალდებულო ექვსი სასწავლო კურსი - ჯამში 30 კრედიტი;
მეოთხე სემესტრში - გათვალისწინებულია სპეციალობის სავალდებულო ექვსი სასწავლო კურსი - ჯამში 30 კრედიტი;
მეხუთე სემესტრში - გათვალისწინებულია სპეციალობის სავალდებულო ექვსი სასწავლო კურსი - ჯამში 29 კრედიტი;
მეექვსე სემესტრში - გათვალისწინებულია სპეციალობის სავალდებულო სამი სასწავლო კურსი და საველე პრაქტიკა - ჯამში 31კრედიტი;
მეშვიდე სემესტრში - გათვალისწინებულია სპეციალობის სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსები. რომელიც ჯამში მოიცავს 25 საგანს. სტუდენტი მათგან ირჩევს საგანთა საჭირო რაოდენობას.
მერვე სემესტრში - გათვალისწინებულია თავისუფალი კომპონენტები (თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსები) სტუდენტი მათგან ირჩევს საგანთა საჭირო რაოდენობას.
დეტალური ინფორმაცია სასწავლო პროცესის შესახებ მოცემულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: http://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/marTvis_instr_25.02.16_SD.PDF

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა „სატყეო საქმე“;
- სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);
- სტუ-საკადემიური საბჭოს 2011 წლის 22 თებერვალი №407 დადგენილებით დამტკიცებული „სტუ-სსასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია“.
- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში „სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია“ 2018 წ.

**რეკომენდაციები:**

არ არის

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არჩევით საგნებში არის სოციოლოგია, პოლიტოლოგია. უმჯობესია ყოფილიყო გეოგრაფია ან მსოფლიო ისტორია. ჰუმანიტარულ არჩევითში ალბათ არ უნდა იყოს „გეოგრაფიულ-ინფორმაციული სისტემები სატყეო მეურნეობაში“, ეს ტექნიკური საგანია.
სასურველია ეკოლოგიის საფუძვლებს წინაპირობა არ გააჩნდეს, მითუმეტეს „სატყეო მეტეოროლოგია და კლიმატოლოგია“.
სასურველია ალბათ ჩასწორდეს ტექნიკური ხარვეზი სწავლის შედეგების რუკაზე, სადაც

| |
|---|
| ზოგიერთ საგნის სილაბუსის შესაბამისად მონიშნული არაა ზოგიერთი კომპეტენცია, რომელსაც ამათუ იმ საგნის გავლისას მიიღებს სტუდენტი: მაგ. ბოტანიკა, ზოგადი ფიზიკა, მელიორაციულ ნიადაგმცოდნეობას და სხვ.<br>საგნის გრაფაში „არჩევითი ჰუმანიტარილი სასწავლო კურსები"-ის ნაცვლად უნდა იყოს „არჩევითი საგანი ჰუმანიტარული დარგიდან". ვინაიდან სტუდენტი, როგორც ჩანს ერთერთ ჰუმანიტარულ კურსს ირჩევს. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ არ არის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ არ არის |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.3. სასწავლო კურსი |
|---|
| ➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;<br>➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br><br>ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, რაც დასტურდება კურიკულუმში წარმოდგენილი სწავლის |

შედეგების რუკაში მოცემული ინფორმაციით.

ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება ბაკალავრიატის დონეს და მათგან გამომდინარეობს პროგრამის სწავლის შედეგები, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა დადგენილია ამ სასწავლო კურსის მიზნით გათვალისწინებული სწავლის შედეგების, სწავლა-სწავლების სხვადასხვა მეთოდების საჭიროების, ასათვისებელი მასალის სირთულისა და მოცულობის შესაბამისად.

სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სატყეო სფეროს აქტუალურ საკითხებზე, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამაში გათვალისწინებულია ზოგადი საგნების სასწავლო კურსები (სილაბუსები), რომლებიც შედგენილია იმ ფორმით, რომ სტუდენტს გაუადვილდეს სპეციალობის საგნების შესწავლა და წარმოადგენს სპეციალობის საგნებზე დაშვების წინაპირობებს.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი ახორციელებს დარგის უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული სასწავლო მასალებით სალექციო თემატიკის გამდიდრებას და შესაბამისი ლიტერატურით უზრუნველყოფას.

მხოლოდ თვითშეფასების ანგარიშში სავალდებულო საგნების კრედიტთა ჯამი 198 გამოდის და არა 210, როგორც პროგრამაშია.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლოპროგრამა „სატყეო საქმე";
- სასწავლოკურსის პროგრამები (სილაბუსები);
- ბიბლიოთეკის კატალოგი.
- 

**რეკომენდაციები:**

არ არის

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არ არის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- არ არის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- არ არის
- 

**შეფასება**

ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

| |
|---|
| **2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება** |
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br><br>ყოველწლიურად ტარდება სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, ფაკულტეტზე ტარდება დარგობრივი სემინარები, რომლებშიც მონაწილეობას იღებენ სტუდენტებიც. დაწესებულება აქტიურად უწყობს ხელს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში, სამეცნიერო-კვლევითი, შემოქმედებითი, საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებაში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 22 დეკემბრის №199/ნ ბრძანება;<br>○ საგანმანათლებლო პროგრამა ,,სატყეო საქმე“<br>○ სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);<br>○ კონფერენციების მასალები;<br>○ მემორანდუმები:<br>○ სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო,<br>○ საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი,<br>○ სსიპ ეროვნული საშენი მეურნეობა,<br>○ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი.<br>○ |
| **რეკომენდაციები:**<br><br>არ არის |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არ არის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ არ არის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის** |

შემთხვევაში)

- არ არის
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის "სატყეო საქმე" სასწავლო კურსები მიმდინარეობს ლოგიკური თანმიმდევრობით და ატარებს კომპლექსურ ხასიათს. ზოგიერთ შემთხვევაში კონკრეტული საგანი მომდევნო საგნის შესწავლის წინაპირობას წარმოადგენს. სწავლებისას გამოიყენება მეთოდების მთელი კომპლექსი:
დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი სწავლება, ჯგუფური მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევების შესწავლა, გონებრივი იერიში, როლური და სიტუაციური თამაშები, დემონსტრირების მეთოდი, ინდუქციური მეთოდი, დედუქციური მეთოდი, ანალიზის მეთოდი, სინთეზის, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, ლაბორატორიული, პრაქტიკული მუშაობა, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია.
სასწავლო კურსით განსაზღვრული მიზნების მიღწევა, შესაძლებელია სწავლება-სწავლის იმ მეთოდებით, რომელიც მოცემულია სილაბუსების შინაარსში და შეესაბამება მაგისტრატურის მეორე საფეხურის (მაგისტრატურის) დონეს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა ,,სატყეო საქმე"
- სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);

- სწავლების ფორმები და მეთოდები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში [http://gtu.ge/quality/pdf/sc.pdf](http://gtu.ge/quality/pdf/sc.pdf)
-

**რეკომენდაციები:**

არ არის

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არ არის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- არ არის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- არ არის
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სტუ–ში მოქმედებს სტუდენტის ცოდნის შეფასების შემდეგი მეთოდები, კრიტერიუმები და სკალები: წერითი გამოკითხვა საკითხებით, ტესტირება ღია ან დახურული კითხვებით, ნახატის, ნახაზის, ესკიზის შესრულება, ლაბორატორიული სამუშაოს აღწერა, მაგალითების, ამოცანების

| |
|---|
